ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6685004

ნომერი: AR1991210

თარიღი : 21.09.2023

გაცემის თარიღი : 28.09.2023

გაცნობის თარიღი : 28.09.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გიორგი ტერევერკოს ქუჩა N24;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამი ბარბაქაძე პ/ნ 01019066422
- თბილისი ერწოს ქ. N 4 კორ. 4 ბ. 123

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 21 სექტემბერს №AR1991210 განცხადებით მომართა მარიამ ბარბაქაძემ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 15 აგვისტოს №6613956 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 15 აგვისტოს №6613956 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გიორგი ტერეველკოს ქუჩა №24-ში მდებარე №01.13.01.018.298 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სკოლის რეკონსტრუქციის (მიშენება ან მიშენება - დაშენება) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 15 აგვისტოდან 2025 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 15 აგვისტოს №6613956 ბრძანებით შეთანხმებულ პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ გამორჩენილი ფრაგმენტების ჭრილების დამატებას. ასევე მოთხოვნილია მშენებლობის ორგანიზების პროექტში და კალენდარულ გრაფიკში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ეტაპებთან დაკავშირებით.
სამსახურმა წარმოდგენილი და შეთანხმებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შეუსაბამოა შეთანხმებულთან. მაგალითად, შეცვლილია რიგელების განლაგება, კიბის უჯრედის ზომა. გარდა ამისა, მშენებლობის ორგანიზების პროექტში და კალენდარულ გრაფიკში მოთხოვნილია მშენებლობის ეტაპების ცვლილება, რაც არ წარმოადგენს ტექნიკური შეცდომის გასწორებას და საჭიროებს პროექტის ცვლილებას (კორექტირებას) და ახალი მშენებლობის ნებართვის მიღებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2023 წლის 15 აგვისტოს №6613956 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.